

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №25

2015 წლის 2 თებერვალი

ქ. თბილისი

„იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების განსაზღვრის შესახებ, რომელთა მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ჩათვლის დოკუმენტია“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №401 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების განსაზღვრის შესახებ, რომელთა მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ჩათვლის დოკუმენტია“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №401 დადგენილებაში (სსმ, №172, 31/12/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ ქვეპუნქტი:

მ) სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 თებერვლიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

